შრომა
სურათებიანი დამატება

დამატების № 25. კვირა, 2 ივლისი, 1906 წ. გაზეთის № 71

***

მშვენების ღმერთავ, ნუ თუ ჩვენი
გრძნობა ჩამქრალა
და სათაყვანო უკვდავების
წყარო დამშრალა?
განა მოგვხარა სიდუხჭირემ,
გული დასერა,
ჩაკვდა იმედი, რკინის მკერდმა
შესწყვიტა ძგერა?
ნუ თუ ეს არის ჩვენი წინ-სვლა,
ბრძოლის ნაყოფი,
ან განვლეთ კი გზა მოსაღლელი
ჩვენი სამყოფი?..
არა და არა!.. კაცი შვებას
ვერ მიეცემა
იქ, სადაც სული წარკვეთილი
ლაჩრად ეცემა!..
რას ვაქნევ მახვილს, თუ ბრძოლაში
გადამემტვრევა,
ცვარსა ციურსა, თუ გულ-წაღულს
არ დამეფრქვევა!..
მისთვის მსურს მაჯა — იქ იბრძოდეს,
სადაც დამჭირდეს,
თუ არა,— მიჯობს გაწბილებას
იქავ დამიწდეს!
მაშ, რადგან გულში ცეცხლის ალი
კიდევ ტრიალებს
და ბრძოლის ველზეც ჩვენი დროშა
ისევ ფრიალებს,
ნუ შევფერხდებით, ფრთა შევკვეცოთ
შემზღუდველ ძალას.
რომ მივაღწიოთ, ჩემო ღმერთავ,
„აღთქმულ ქვეყანას“!..

სოფ. გ—მე.

ხაიმ ებშტეინი.

ხაიმ ებშტეინი დღეს კარგ გუნებაზედ დაბრუნდა თავის სარდაფში: დღეს მთელი ორ წყვილ ფიჯაკის და ერთ პალტოს მასალა მოიტანა შესაკერად. ამის სახელსაქმო ფულით, ხომ სახლის ქირასაც გაისტუმრებს, ცოლშვილსაც გამოჰკვებავს და რამდენიმე მანათსაც გადაანარჩუნებს თავისუფლების ფონდის მისამატებლად.

„ხუმრობა კი არ არის,— ფიქრობდა გზა და გზა,— რამდენიმე მანეთი ერთბაშად, აი თორმეტი წელიწადია, რაც შევუდექი ამ ფონდის გროვებას და ამისთანა მაგალითი ჯერ არაყოფილა. ერთბაშად რამდენიმე მანეთით გადიდება თავისუფლების მოსაპოვებელ ფონდისა!“.

„თავისუფლების ფონდს“ ებშტეინი ეძახდა იმ ფულს, რომლის გროვებასაც ჯერ ისევ შეგირდობისას შეუდგა. ისე არ გავიდოდა თვე, ჯერ მაშინვე, რომ ერთი ან ორი შაური მაინც რომ არ მოემატებინა ამ ფულისათვის.

— ჰმ! რამდენიმე მანეთი!— მაღლა ხმით წარმოსთქვა ებშტეინმა და ჰკრა ხელი თავის ბინის კარებს.

კარები ჭრაჭუნით შეიღო. სიბნელე და სინესტე დაუხვდა ებშტეინს შესვლის უმალ, მაგრამ რა შესამჩნევი იყო იმისთვის. ეს დაბადებიდანვე სდევდა და ეხლა თითქმის იმის ბინის მოწყობილებების მოთხოვნილებასაც შეადგენდა.

— ტაუბა! რატომ სანთელს არ აანთებ, ქალო?

— შენ შინ არ იყავი, ბავშვები კი ჯერ ეზოში ნათელა და იქ თამაშობენ.

— მერე შენ კი უნდა ბნელაში იჯდე?

— მერე, რა მიჭირს! ნავთი კი მამასისხლად გახდა ამ გაფიცვებისა გამო.

— გეყოფა წუწურაქობა, ჩემო ტაუბა,— უთხრა ებშტეინმა ცოლს.— აბა შემოხედე ამას,— განაგრძო სიამოვნების კილოთი, როდესაც ცოლმა ლამფა აანთო და სტოლთან მიიტანა.— გინახავს შენს დღეში ამოდენა სამუშაო ერთბაშად?

— უფ,— განცვიფრებულის კილოთი შეჰყვირა ტაუბამ,— რა არის იმდენი?

ეს არის, რაც არის, ეს არის ჩვენი ცხოვრების წყარო და განმახორციელებელი ჩვენის აღთქმულ იმედებისა. ძალიან ბედზედ გავედი დღეს სახლიდან. სანცმაც და ხაიტმაც მაღაზიაში შესვლა არც კი დამაცალეს. „აბა, ებშტეინ მკერავიაო“. აბა რა თქმა უნდა, მესიამოვნა ეს ამბავი. არა, იფიქრე ერთი, რამდენ ფულს ჩავიჩხრიალებთ!? საქმე კი აბა, რას შეგვაშინებს მე და შენ, ჩემო კარგო. ჩავუსხდეთ და

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი:

ნ. ჟორდანია.

ი. რამიშვილი.

ტერ-პეტროსიანცი
(ერევ. გუბ.)

გ. თუმანიანცი
(ერევ. გუბ.)



ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ—შესანიშნავი ჩანჩქარი იმეტრა ამ ჩანჩქარის ძალა უდრის 117,000 ცხენის ძალას. ახლა შეუდგნენ ამ ძალის გამოყენებას მრეწველობაში.

კვირა ნახევარში ჩვენებურ მუშაობით ბრეგას გავადენთ! მემრე კი თუნდ მთელი თვეც ვეღარ ვიშოვოთ სამუშაო, არა გვიჭირს-რა.

— იფ! რა მშვენიერებაა ეს საფიჯაკო! — სთქვა ტაუბამ, როდესაც ბოხჩას ხსნა დაუწყო.

— კარგია და კარგი ფულიც დააძრო სანცმა მაგის შემკვეთელს.

— მაშ, ჩემო ხაიმ, კარგ ფას მოგვცემს, არა?

— ჰაი, ჰაი, რომ კარგს. ფიჯაკის წყვილებში (ფიჯაკი, შარვალი და ჟილეტკა) რვა-რვა მანეთი და პალტოში კი ერთი თუმანი, წინად-კი 6—7 მანეთს ფიჯაკში იძლეოდა და 8 მანეთს პალტოში.

— თვითონ, ნუ კი გამიჯავრდები ჩემო ხაიმ, უბრალო ცნობის მოყვარეობისთვის, ბევრი დარჩება?

მაგრამ ხაიმი მეტად ნასიამოვნები იყო და გაჯავრებაზედ შორს იყო დღეს.

— თითონ, ამა რა თქმა უნდა, რომ ბლომად დარჩება. აი, მაგალითად, ამ უკეთეს მასალაში იმან მისცა 20 თუნდ 25 მანეთი, სარჩული, ღილები, ძაფი და კიდევ სხვა წვრილმანი ბევრი-ბევრი 4 მანეთი, მე რვა მანათი, სულ იქნება ოცდა ჩვიდმეტი მანეთი. თითონ უკანასკნელი 55 მანეთს მაინც გამოართმევს. მაშასადამე, დარჩება 18 მანათი.

— უფ, ორჯელ მეტი იმაზედ, რაც ჩვენ უნდა მოგვცეს?

— მაშ რა! უბრალო სამკერვლო ხომ არ აქვთ ამათ. პირველნი, პირველნი არიან ადესაში.

კარში ჩამობნელდა და აცივდა კიდეც. ბავშვები ჟღივილ-ხივილით შემოცვივდნენ სახლში, მაგრამ მამის დანახვაზედ წამს შეწყვიტეს ხმაურობა და ცელქობით გაწითლებულის სახით შემოესხდნენ სტოლს. ებშტეინს უნდა ამათვისა-შეეტყობინებინა თავის დღევანდელი სიამოვნება. ამაზედ გზაშივე იფიქრა და შეუარა მახლობელ მეხილეს. საკერავს თავი დაანება და ღიმილით დაუწყო თვალიერება თავის გოგოებიკებს, თითქოს პირველად ენახოს ესენი მამის ღიმილმა ბავშვები გაათამამა. მათ ისევ სიკილი მორთეს და წამოიშალნენ თავთავიანთ ადგილებიდან, ებშტეინმა საკერავი სტოლზე დასდო და გაემართა კუთხისაკენ. პატარა ხნის შემდეგ რაღაც ქაღალდის პარკით დაბრუნდა. ბავშვებმა ხელად იგრძნეს, რაშიაც იყო საქმე, და მამას გარს შემოეხვიენენ. ებშტეინმა ხელები მაღლა ასწია, რომ ხელიდან არავის გამოეტაცნა პარკი და ღიმილით მოუბრუნდა შვილებს:

— აბა, ვის უფრო გიყვართ მამა?

— მე, მე! — დაიწყო ყველამ ბლარძღუნით...

— ალა მე... მე... — იძახდა სამის წლის ევა, მაშინაც კი, როდესაც მამამ უკვე მუხლებზე შეისო და ვეებერთელა მტევნისა მისცა ხელში. თუმცა ტაუბსაც ესიამოვნა ბავშვების სიხარული, მაგრამ მაინც არ დასტოვა ხაიმის ჩვეულებრივი საქციელი და საყვედურით მიმართა:

— რა ამბავია, კაცო? შენ დღეს შაბათი ხომ არ გეგონა?

— რა უშავს, ჩემო ტაუბა. თუმცა რით არის დღევანდელი დღე შაფათზე ნაკლები? დღეს ჩვენ ამოდენა სამუშაო ვიშოვნეთ და რატომ ბავშვებმაც არ უნდა ისიამოვნონ ამით. რატომ არ უნდა დავატყოთ, რომ დღევანდელი დღე არა ჰგავს გუშინდელს და გუშინწინდელს, როდესაც სამუშაო არა გვქონდა. აი მთელი კვირაა ბავშვები შავი პურის და ხახვ.—ნიორის მეტს ვერას ხედავენ,

— იცი, დღეს ჩვნს ეზოში რას ლაპარაკობდნენ, — შეეკითხა ტაუბა ქმარს, როდესაც ბავშვებმა ხვრინვა ამოუშვეს. — ეხლა მალე თანასწორობა დადგებაო. თურმე თვით რუსები თხოულობენ, რომ მოისპოს ბინადრობის ფარგალი და ყოველი შევეწროება ჩვენი.

— ნეტავი შენ, ჩემო ტაუბა, რომ ბებიების ლაქლაქს ყურს უგდებ. მა რაში მოგვცემენ ისეთ უფლებებს, როგორც რუსებს...

— ამბობენ, გაზეთებშიაც სწერიაო, რომ ჩქარა ახალი კანონები გამოვა ამის შესახებო.

— გაჩუმდი, მამა გიცხონდბა, არავინ არ გაგიგოს, თორემ ისეთ თავისუფლებას მოგვცემენ, რომ ყველაფერი დაგვავიწყდეს. ჩვენი, ჩემო ტაუბავ, თავისუფლება აი ამ ხელ საქმეშია. რამდენსაც მეტს გადავანარჩენებთ ჩვენ კუპს, იმდენად უფრო გაიზრდება ჩვენი თავისუფლების ფონდი და იმდენად უფრო ჩქარა მოგვიახლოვდება დღე ამერიკში გამგზავრებისა. იქ კი ჩვენც უფლებიან ადამიანებათ ვიქცევით. იქ დავსახლდებით, საცა გვინდა, იქ აღარ დაგვიწყეს დევნას სულ მუდმივი სიძულვილი ჩვენ გარშემო მყოფთ. იქ „ჟიდ“-საც კი აღარავინ დაგვიძახებს და ვიქნებით როგორც სხვები. იქ ჯაფაც კარგად ფასდება და შევიძლებთ ჩვენ შვილებს სწავლა მივცეთ.

— გაუმარჯოს თავისუფლებას! ურა! მოისმა ამ დროს ქუჩიდან.

ებშტეინი გიჟსავით წამოხტა, გააქრო ლამფა და სწრაფლ ფანჯარას ეცა. ეს ძახილი კიდევ მოესმა. ხმაზედ და კილოზედ იცნო, რომ ამას ებრაელები იძახოდნენ და დამშვიდდა, მაგრამ ერთბაშად ქუჩაში მაინც ვერ გაბედა გამოსვლა. როდესაც ეს ძახილი უფრო ჯახშირდა, ნელა-ნელა მიიპარა ალაყაფის კარებთან, სადაც უკვე მთელი ეზოს მცხოვრებნი შეკრებილიყვენ და პირველს შემხვედრს მორიდების ხმით ჰკითხა:

რა ხმაურობაა? რა მოხდა?

— რა მოხდა, განა არ გაიგე აქამდის? — გაკვირვებული ხმით უპასუხა მოსაუბრემ, — თავისუფლების მანიფესტი გამოაცხადეს.

ამ დროს მათ კარების წინ მრავალმა ხალხმა გამოიარა, ყველანი იცინოდნენ და აფრიალებდნენ წითელ ბაირაღებს თავისუფლების მისასალმებ წარწერებით.



ავტონომიური ფინლიანდია.—ფინლიანდელის სახლ-კარი ჩრდილოეთ ფინ იანდიაში. თავის დაუღალავ და მხნე შრომით ფინლიანდელი აქაც ახერხებს კარგ სახლის აშენებას და ა ამიანურ ცხოვრებას საზოგადოდ ფინლიანდია ცივი, კლდიანი ადგილია, ნახევარ ფ ნლიანდიაში შეუძლებელი, მიწის დამუშავება.

— ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა!—ჰფიქრობდა ებშტეინი, როდესაც პირველ საათზედ ხელი აუშო და ფრთხილად წვებოდა დოშაქზედ, რომ ბავშვებს არავის დასწოლოდა. დღეს ამოდენა სამუშაო და თავისუფლებაც.

II

ადესის ქალთა კურსებს არა ჩვეულებრივი ფერი აძევს გარედ ფრიალებს წითელის ჯვრის დიდი ბაირაღი. აუდიტორიებში ყველგან საწოლებია ჩამწკრიებული „პარტე“-ბის ნაცვლად. პროფესორები, სტუდენტი ქალები, მოწვეული ექიმები და ექიმი-სტუდენტები ერთმანეთში ირევიან. ყველანი განკარგულებას იძლევიან და ყველანი რჩევას აძლევენ ერთ მანეთს, სად რა მოაწყონ და სად რა გამართონ. ყველაზედ უწინ სადოსტაქრო ოთახი მოაწყეს, რადგან ეს-ეს არის დაჭრილებს მოიყვანენ და უნდა ყველა მზად იყოს. შემდეგ შეუდგნენ პალატებისა, სასადილოს, მისაღებ ოთახის მწყობ მეტად თავ გადადებით მუშაობენ, ზოგ იატაკებსაც თვითონ რეცხენ, თვითონვე ეზიდებიან მძიმე რკინის საწოლებს და ვეებერთელა თივის ლეიბებს.

უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი იყვნენ, რომელნიც ქუჩაში წავიდნენ „წითელ ჯვრის“ რაზმებად. ტყვიის ზუზუნი, ყველგან მტერევ, ყველგან ლეწვა, ყველგან სისხლი და სიკვდილი თან დასდევდა ამათ.

მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა იანკოვსკისა და იმისი თანამგზავრი ქალი და სტუდენტი ექიმი. ესენი კურსებიდან გამოსვლისთანავე ხულიგანების ჯგუფს შეეხეჩნენ. ეს ამბავი მეზღლების ქუჩაზედ მოხდა: ქუჩა გუშინვე დალეწეს. უსიამოვნოდ გამოიყურებოდნენ უკარ-ფანჯარო სახლები. შიგა და შიგ მთელი სახლები



ავტონომიური ფინლიანლია—სეიმის (პარლამენტი) სახლი, ამ სახლში ყოველ სამ წელიწადში იკრიბებიან სამღვდელოების, მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენელნი ფინლიანდიის საქმეებზე სათათბიროდ.

და ბინებიც ხვდებოდათ, აქ ჯერ ისევ ხელ-უხლებლად იდო კარებში და ფანჯრებში მათი გადამანარჩუნებელი ხატები. ქუჩაში მრავალი ხალხი ირეოდა მომეტებულად დედაკაცები და ბიჭ-ბუჭები იყვნენ. მოზდილები სხვა უბნებში წასულიყვნეს ებრაელების ასაკლებად.

— გააჩერეთ, გააჩერეთ,—აწიოკდნენ დედაკაცები, როდესაც „წითელი ჯვრის“ რაზმი ამათ გაუსწორდნენ.

— ხომ ჰხედავთ, „წითელი ჯვრის“ რაზმია,—უთხრა სტუდენტმა, როდესაც ეტლი გააჩერეს.

— გიცნობთ, გიცნობთ,—დაიწყეს წიწინი დედაკაცებმა. — თქვენ ყველანი სოციალისტები ხართ! თქვენ იარაღი დაგაქვთ!

— რას ლაპარაკობთ, ჩვენ დაჭრილებს დავკრეფავთ, დედი!—უთხრა იანკოვსკისამ დედაკაცს.

— ვიცით, ვიცით, რა დაჭრილებსაც ჰკრეფავთ, აი გუშინაც ერთმა თქვენისთანა მაწანწალამ ყუმბარა გადააგდო თურმე კარტამიშევის ქუჩაზედ.

ყაზახებმა, რომელნიც იქვე იდგნენ, გარეკეს დედაკაცები და როგორც უფრო მცოდნეთ, დაუწყეს წითელ ჯვარს ჩხრეკა.

— ჩვენ ყველას ვშველით. ჩვენც რუსები ვართ, ეუბნებოდა იანკოვსკისა ყაზახებს, მაგრამ ამაოდ.

— ჩულქები გაუშინჯე, ჩულქები, მანდ ინახავენ ხოლმე ყუმბარებს! - წიწინობდნენ დედაკაცები.

იანკოვსკისას ახალი ფეხსაცმელი დახადეს, თუმცა ყუმბარა არ იყო შიგ, მაგრამ მაინც მიითვისა ფეხსაცმელი ერთმა კაპასმა დედაკაცმა, რომელიც ყაზახს გვერდზედ ედგა და იმის ნაცვლად დიდის მოწყალობით გადაუყარა თავისი ნაგლეჯები. ამა ხმას ვინ ამოიღებდა. წაართვეს ფულიც და სიცილით და სტვენით გზა დაულოცეს.

—გოგონა! სად მიხვალ?—მიუბრუნდა იანკოვსკისას ერთი ყაზახი, როდესაც ეტლი დაიქრა.—აფსუსი არ ხარ, რომ მოკვდე? მოდი ჩვენთან წამოდი ყაზარმებში.

— მართლადაც რომ,—ჩაურთეს დედაკაცებმა და ასტეხეს საერთო ხარხარი.

პირველი დაჭრილი პროხოროვის ქუჩიდან წამოიყვანეს. დაჭრილი სანაგვის ყუთში ჩამძვრალიყო და, კვნესა რომ არ შემოგვესმოდათ, შეიძლება, ვერც კი ვპოვნათ.

შეურაცხყოფა, შიში, გარშემო სიკვდილი და სისხლი, მაგრამ იანკოვსკისა მაინც იმაგრებდა თავს. წინად კი საკმაო იყო ერთი წვეთი სისხლის დანახვა, რომ გული შემოჰყროდა. მამაცად მისდევდა სტუდენტს, ზედ აბიჯებდა მკვდრებს, რომელნიც კიბეებში ეყარნენ, მაგრამ ბოლოს, როდესაც დაჭრილს იღებდნენ ნაგვის ყუთიდან, ფანჯრიდან ბავშვი გადმოანარცხეს ქვაფენილზე და იანკოვსკისამ ველარ შეიმაგრა თავი, გაფითრდა და, ის იყო გულიც უნდა წასვლოდა, რომ სტუდენტმა დაუყვირა:

— რას ჩადით, დაიჭით დაჭრილი მაგრა!

თითონ ებშტეინსაც ახსოვს ეს წუთი. ხშირად მოაგონებდა ხოლმე ამ წუთს იანკოვსკისას.

III

— ნელა, გევედრებით, ექიმო!—მოჰყვა შაპირის ქვრივი, იმ წუთსვე, რა წუთსაც შემოიყვანეს სადოხტურო ოთახში.

— რა მოგივიდათ, შაპირო?—ეუბნება მოწყალების და,—ჯერ ხომ ხელიც არ უხლიათ თქვენი ჭრილობისათვის.

საცოდავ დედაკაცისათვის ტყვიას ძუძუ შუაზედ გაეხვრიტა და მარცხენა მკლავში ჩასჯდომოდა

იქვე მეორე პალატაში იწვა იმის შვილი. ბავშვისათვის ლოყაში დაერტყათ კეტი და შუბლიდგან ნიკაპამდის ჩაეხლიჩათ სახე.

— გაჩუმდით,—ეუბნებოდა მოწყალების და,—თორემ თქვენი სოლომონიც დაიწყებს ტირილს.

შაპირო გაჩუმდა, ამ წუთს შემოიყვანეს მარგოლინი და ამის იქ ყოფნის დროს კი ყვირილი შეუწყვეტელი იყო ხოლმე. მარგოლინისათვის ორგან გაეხეთქათ თავი, ჭრილობები თუმცა მძიმე არა ჰქონდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ნერვები აშლოდა. ვერც ფეხზედ ჩერდებოდა და ვერც ჯდებოდა.

— როგორა ხართ მორგოლინ?—შეეკითხა მუდამ მოღიმარე მოწყალების და.

მარგოლინმა პასუხის ნაცვლად, ჩვეულებრივი ფრაზები დაიწყო.

— მცივა... მცივა... მტკივა... ვაი... ვაი...

ყველაზედ ეჭვიანად პატარა შაპიროს ეჭირა თავი. მართალია, ჭრილობა კი აღარ ჰქონდა, მაგრამ თვალი ჰქონდა გასიებული და ყოველ დღე ძალით უხსნიდნენ და წამალს უშვებდნენ. ამის შემოყვანასთან ერთად ყველას სახე ეღიმებოდა სადოსტაქრო ოთახში.

იქვე იყო ებშტეინიც. ამას დღეს უკანასკნელად უხსნიდნენ სახვევებს. ჭრილობა აღარც კი ეტყობოდა. მართალია, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი დაუშავდა, მაგრამ ფიქრი არ იყო—მუშაობას არ დაუშლიდა. ებშტეინმა უკვე გამოსცადა კიდეც თავისი ხელი და ამ მხრივ დამშვიდდა. ამას ეხლა მარტო ცოლ-შვილის ამბვის უცოდინარობა აწუხებდა. იგი ყველაზედ წინად დასჭრეს და სრულებით არა იცოდარა იმათზედ. მართალია, სტუდენტმა ქალებმა უთხრეს, შენი ცოლშვილი ცოტათი დაჭრილი იყო და ნათესავებმა შვილებიანურთ კიევში წაიყვანესო, მაგრამ გული მაინც საგულეში არა ჰქონდა.

„ხელი მივარგა,—ფიქრობდა ებშტეინი, როდესაც კურსები მიატოვა და გაემართა სანცის მაღაზიისაკენ,—შეუდგები ისევ ჯაფას და...

— სად დაიკარგეთ ებშტეინ?—მაღაზიაში შესვლის უმალ მიაძახა სანცმა.

— დაჭრილი ვიყავი და აქამდის საავადმყოფოში ვიწექი.

— ტანისამოსი?

— ტანისამოსი ხულიგანებმა წაიღეს, მე იქნება არც კი დავეჭირე, რომ თქვენი ტანისამოსი არ მქონოდა. ჩვენ ყველანი საყინულეში დავიმალეთ, წავიღეთ თან, რაც მოვასწარით, თქვენი ტანისამოსი მაშინ მომაგონდა, როდესაც უკვე ეზოში მძვინვარებდნენ ეს ვაჟბატონები, გავქანდი ოთახისაკენ, ისინი უკვე თარეშობდნენ ჩემს ბინაზედ და, აბა რა თქმა უნდა, არ დამინდეს...

— რაებს ლაპარაკობ ებშტეინ!? რა ჩემი საქმეა ეგენი. მე თქვენ მასალა მოგეცით შესაკერად და უნდა მიზღოთ კიდეც, თუ დაჰკარგევით.

ებშტეინმა კარგად იცოდა სანცის სასტიკი გული, კარგად იცოდა, რომ იმასთან ლაპარაკი ტყუილი იყო, ბევრი ლაპარაკი უფრო გააქვავებდა და შეიძლება სულაც დაეთხოვნა თავის ქარგლობიდან და სასამართლოთი გადაეხდევინებინა მასალის ფასი. ეხლა კი უფრო საჭირო იყო ამისთვის მუშაობა, ეხლა უფრო გაუცხოველდა აღთქმა—ამერიკაში გადასახლება და მეტი რა გზა ჰქონდა, დათანხმდა

„დღე-ღამეს გავასწორებთ მე და ჩემი ტაუბა, თვალებს ჩავიწყალებთ საკერავში და ჩვენ შვილებს კი ავაშორებთ იმ დღეებს, რაც ჩვენ გამოვიარეთ. ერთი წელიწად ნახევარიც და მაშინ კი, მშვიდობით რუსეთო! მშვიდობით დედინაცვალო! იქ ჩვენც ადამიანად ვიქცევით“. ეს მოსაზრება სულ მუდამ იმის იმედის და ჯანის ჩამდგმელი იყო

მაგრამ საბრალო ებშტეინმა ის კი არ იცოდა, რომ მისი ცოლი კიევში კი არა—შავ მიწაში იყო. მისი შვილები გვერდით ეწვნენ საბრალო დედაკაცს! და მისი თორმეტი წლის ოფლით ნაგროვი „თავისუფლების ფონდი“ კი დაწრთის აღესის სამიკიტნოებში.

გ. მ ღალაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**

ბევრნი გვკითხავენ: რატომ კარრიკატურები არ იბეჭდებაო. უნდა აღვნიშნოთ რომ ცენზურა იმდენად სასტიკად გვეპყრობა რომ შეუძლებელი გახდა შინაარსიანი კარიკატურების და სურათების მოთავსება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველ დღიური გაზეთი

„შ რ ო მ ა“

სურათებიანის დამატებით პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მანეთად.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვახქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.